*დანართი №5*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | ა(ა) იპ |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)<br><br>საიდენტიფიკაციო კოდი | 204571588 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................



ბ.ა.

| ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტ ო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, სოფელიდიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52 |
| საფოსტო ინდექსი | 0113 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://stnino-school.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | st.ninoschool@gmail.com; |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2 309 310; 599 10 34 53; 551 16 22 11; 599 26 55 53 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | ლალი მელივა |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551 92 12 52 / 599 26 55 53 |
| ელ-ფოსტა | lali.meliva@yahoo.com |

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული (შემდგომში ცენტრი) 2020 წლის 6 იანვრის №3 ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (ცენტრში რეგისტრაციის №3072) წერილი ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით. |
| მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი) | მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი<br>წევრი: ირინა დვალი |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 30 და 31 იანვარი, 2020. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 5 თებერვალი, 2020 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| დასკვნის წარმოდგენის თარიღი | 20 თებერვალი, 2020 |

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | | მუხლი 4 | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 4 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო | მუხლი 4/ პუნქტი ა.ა) | ■ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. | მუხლი 4/ პუნქტი ა.ბ) | [redacted] | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. | მუხლი 4 / პუნქტი ა.გ.) | [redacted] | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 4 / პუნქტი ა.დ) | [redacted] | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის | მუხლი 4 / პუნქტი ბ) | [redacted] | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. | | | |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 4 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 4 / პუნქტი დ) | ■ | □ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო | მუხლი 4 / პუნქტი ე) | ■ | □ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..................................



ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 4 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. | მუხლი 4 / პუნქტი ვ. ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 4 / პუნქტი ვ. ბ.) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 4 / პუნქტი ვ. გ) | ■ | ☐ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები; | მუხლი 4 / პუნქტი 3. დ) | ■ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც სკოლას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 | მუხლი 4 / პუნქტი 3. ე) | ■ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 4/ პუნქტი ზ) | ■ | □ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 4/ პუნქტი თ) | ■ | □ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. | მუხლი 4/ პუნქტი ი) | ☑ | ☐ |

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 2.2. | ............... |

VI. რეკომენდაციების შეჯამება

| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 2.1. | სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაამატოს ახალი სპორტის სახეობა ჭადრაკის მაგივრად, რამდენადაც ჭადრაკი აღარ შედის სპორტის |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................



ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | სახეობებში საბაზო და საშუალო საფეხურზე და ამასთან დაკავშირებით სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს ცვლილებები. ამავე ქვემუხლში სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპორტული მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით; |
| ქვესტანდარტი | 2.2. | .................... |
| ქვესტანდარტი | 2.3. | წიგნადი ფონდის  დამუშავების დროს გაითვალისწინოს საბიბლიოთეკო წესი; |
| ქვესტანდარტი | 2.4. | ...................... |
| ქვესტანდარტი | 2.5. | რეკომენდაცია გაიცა ვებ-გვერდის მუდმივ განახლებასთან და მის მეტად ინფორმატიულობასთან დაკავშირებით. |
| ქვესტანდარტი | 2.6.ე | სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2 მეგაპიქსელიანი 3 გარე კამერა -შეცვალოს 3 მეგაპიქსელიანი კამერებით. |
| ქვესტანდარტი | 2.7. | ...................... |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.8.* | სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია - სამოქმედო გეგმის დასახვის დროს გაითვალისწინონ შენობასთან არსებული ეზოს მოწყობა-მოწესრიგება, სპორტული მოედნის აშენება, შენობის ექსტერიერის რემონტი. |
| *ქვესტანდარტი* | *2.9.* | .............................. |

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (შემდგომში – სკოლა) მისიაა მოსწავლეებმა მიიღონ მაღალი აკადემიური განათლება, გამოიმუშავონ უნარები და ღირებულებები, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და პოტენციალის რეალიზებაში. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს, რომ გამოუმუშავდეს ანალიტიკური აზროვნების უნარი, შეეძლოს გუნდური მუშაობის წარმართვა, განვითარდეს მრავალმხრივად და იყოს კანონმორჩილი, პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქე.<br>სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეს შეეძლოს თანამედროვე სწრაფად ცვლად და დინამიურ გარემოში ორიენტაცია და ადაპტაცია.<br>სკოლა მოსწავლეს უქმნის შემოქმედებით და თანამშრომლობით გარემოს, ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.<br>სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და წამახალისებელ გარემოს და იგი უნვითარებს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკურ განვითარებას, რისთვისაც ორგანიზებას უწევს სპორტულ და სახელოვნებო აქტივობებს, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობელთა და მასწავლებელთა ჩართულობით.<br>სკოლის ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანაა მოსწავლემ შეძლოს, სწორად აირჩიოს მომავალი განვითარების მიმართულება. |

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

2. მატერიალური რესურსი



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლამ შეიცვალა მისამართი და განთავსდა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52. სკოლის შენობა სამ სართულიანია და აქვს 245.29 კვ.მ. ფართის სარდაფი. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად პირველი სართულის ფართია 575.66 კვ.მ. მეორე სართულის 569.72 კვ.მ., მესამე სართულის 755.05 კვ.მ. დაწესებულებას შენობა გადაეცა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რომლის საფუძველიც გახდა მათ შორის 2019 წლის 23 აგვისტოს დადებული 20 წლიანი თხოვების ხელშეკრულება და რომელიც ამავე წლის 26 აგვისტოს გატარდა საჯარო რეესტრში. ხელშეკრულების თანახმად „მონათხოვრე", ანუ სკოლა ვალდებულია: უზრუნველყოს ნათხოვარი ქონების მომარაგება წყლითა და ელექტროენერგიით; საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ნათხოვარი ქონების მიმდინარე შეკეთება, დაიცვას უსაფრთხოების და სანიტარული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ……………………………………
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ……………………………

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნორმები; „მონათხოვრეს“ არ აქვს უფლება საკუთარი ნებით „გამნათხოვრებლის“ ნებართვის გარეშე შეცვალოს ნათხოვარი ქონების დაგეგმარება და სხვა. შენობას აკრავს დიდი ეზო, რომელიც გამიჯნულია ღობით მიმდებარედ არსებული შენობისგან. ტერიტორიის ერთ ნაწილში განთავსებულია, ასევე საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშ არსებული „ახალი პროფესიული სასწავლებელი“. |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N52 |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | N 01.72.14.020.308.01.507 |
| კვ.მ. | 2145.72 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | 1. სრულიად საქართველოს საპატრიარქოსთან დადებული ხელშეკრულება უძრავი ქონების თხოვების შესახებ;<br>2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019793352;<br>3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019793376;<br>4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019793305;<br>5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019793363;<br>6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)<br>7. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის სამივე სართული განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის. სულ 27 საკლასო ოთახია, რომლებშიც, ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით, განლაგებულია 329 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით, ასევე ყველა ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა თავისი სკამით, კედლებზე ჰკიდია დაფები. გარდა საკლასო ოთახებისა, სართულებზე საგნობრივი კაბინეტებია, კერძოდ: მუსიკის, ხატვის, ჭადრაკის, ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის, კომპიუტერული, უცხოური ენების და სპორტული დარბაზი (51.58 კვ.მ.)<br><br>სპორტული აქტივობებისათვის სკოლას შეძენილი აქვს - ტატამი, ჩოგბურთის მაგიდა, 12 ჭადრაკის დაფა და 1 სადემონსტრაციო დაფა, ხოლო ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების მიზნით-ელექტროპიანინო, ტამტამები და ფანდურები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობაში ასევე სხვადასხვა ფუნქციური ოთახებია დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. არის ასევე სამასწავლებლო, ფსიქოლოგის ოთახი, ბიბლიოთეკა, სასადილო, სამედიცინო ოთახი, და ვიდეოკამერებით აღჭურვილი სათვალთვალო კაბინეტი, რომელიც პირველ სართულზე, შესასვლელშია განთავსებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერებით;<br>2. საგადასახადო დავალებებით. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი |
|---|

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაას სპორტული აქტივობებისთვის შენობის პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს 51.58 კვ.მ.-ის ფართი, რომელშიც განთავსებულია ტატამები ჭიდაობისთვის, ამავე დარბაზში ტარდება ქართული ცეკვების გაკვეთილები. დარბაზის გვერდით, შეჭრილ სივრცეში დგას ჩოგბურთის მაგიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სპორტის გაკვეთილებისთვის არჩეული აქვს სამი სახეობა. ესენია: ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. რამდენადაც ჭადრაკი აღარ შედის სპორტის სახეობებში საბაზო და საშუალო საფეხურზე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაამატოს ახალი სპორტის სახეობა და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს ცვლილებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს დიდი ეზო და ბაღი, სადაც შესაძლებელია სპორტული მოედნის აშენება, რასთან დაკავშირებითაც სკოლა ასევე მიეცა რეკომენდაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. შენობის აზომვითი ნახაზი;<br>3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..................



ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შენობის პირველ სართულზე განთავსებული აქვს ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიული ოთახები. ქიმიის კაბინეტში, რომელიც 16.35 კვ.მ -ია, არის დიდი ფანჯრები და დგას 2 გრძელი მაგიდა, რომელზეც 16 მოსწავლის განთავსებაა შესაძლებელი. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი, თუმცა არ არის გამწოვი. ფიზიკის კაბინეტი 33.76 კვ. მ.-ია, ხოლო ბიოლოგიის ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია 13.40 კვ.მ.-ის ოთახში. ბიოლოგიის მასწავლებელთან და მოსწავლეებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში და მასწავლებელს საჭიროებისამებრ შეაქვს კლასში შესაბამისი რესურსი.<br><br>დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ კაბინეტების განახლება და კეთილმოწყობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ლაბორატორიების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. მასწავლებელთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები. |
| შეფასება: | ■ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..........



ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს დიდი ზომის ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს ოთახის ბუნებრივ განათებას. სკოლა „ენერგო-პროს" აბონენტია და ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითრები. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა და შესაბამისად უზრუნველყოფილია როგორც საკლასო ოთახების, ასევე დერეფნების გათბობა. სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. მეორე სართულზე 3 კაბინა გოგონებისათვის და იქვე განთავსებულია 1 კაბინა შშმ გოგონა მოსწავლისათვის, ასევე 3 კაბინა ბიჭებისათვის და 1 კაბინა შშმ ბიჭი მოსწავლისათვის. ამავე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები მამაკაცი და ქალი მასწავლებლებისთვის (2-2 კაბინა). მესამე სართულზე 3-3 კაბინაა როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის და 2-2 კაბინა მომსახურე პერსონალისათვის. სველი წერტილები მოწესრიგებულია და მათში დაცულია ჰიგიენური ნორმები. პირველ სართულზე განთავსებული სველი წერტილები მოწესრიგების პროცესშია.<br><br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ელექტროენერგიით მომსახურების გადახდის ქვითრები. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს პატარა, შუშით გამიჯნულ, ოთახს ბიბლითეკარისათვის და სამკითხველო დარბაზს, სადაც განლაგებულია წიგნები და გრძელი მაგიდა სკამებით. ბიბლიოთეკაში არის ერთი კომპიუტერი.<br><br>ბიბლითეკარმა წარმოადგინა წიგნადი ფონდის ანბანური კატალოგი, რომელიც ასევე ელექტრონულად არის დამუშავებული. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1748 ერთეულს, მათ შორის 663 სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოა.<br>ბიბლიოთეკაში იძებნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო.<br>აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის საგნების სახელმძღვანელოები ვიზიტის პერიოდში მუშავდებოდა საბიბლიოთეკო წესით.<br>ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამუშაო საათები (10.00 -17.00) და დებულება.<br>ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ წიგნების დამუშავების დროს დარღვეული იყო წიგნის დამუშავების საბიბლიოთეკო წესი. კერძოდ, წიგნებს მე-3 და მე-17 გვერდებზე ნომრები არ ჰქონდა მითითებული, რასთან დაკავშირებითაც მათ მიეცათ შესაბამისი რეკომენდაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკარმა გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო არსებული ხარვეზის აღმოფხვრა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. კატალოგი;<br>3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;<br>4. ბიბლიოთკის დებულება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ■ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის შენობის შესასვლელში და შემდგომ პირველ სართულზე ასასვლელად გაკეთებულია პანდუსი. რაც შეეხება სართულებზე გადაადგილებას, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ შეუკვეთეს რკინის პანდუსები თუმცა ვერ წარმოადგინეს ხელშეკრულება, რამდენადაც კერძო პირი ამზადებს მათ. როგორც მათ აღნიშნეს პანდუსები რამდენიმე დღეში იქნება მზად და ისინი წარმოადგენენ დამადასტურებელ დოკუმენტაციას.<br><br>დირექციასთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ ეტლით გადაადგილების საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ მას პირველ სართულზე გამოუყონ საკლასო ოთახი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ სართულზე რამდენიმე თავისუფალი ოთახია, განთავსებულია ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები, |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკა და სპორტული ოთახი. პირველ სართულზე მიმდინარეობდა ასევე სველი წერტილის ადაპტირება სსსმ მოსწავლისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. დირექტორთან ინტერვიუ. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის მესამე სართულზე განთავსებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, სადაც განლაგებულია მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი გრძელი მერხები სკამებით. ოთახში განთავსებულია 3 პერსონალური კომპიუტერი და 13 ნოუთბუქი მოსწავლეებისათვის, 1 კომპიუტერი მასწავლებლისათვის. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ყველა მუშა მდგომარეობაშია. სკოლის მფლობელობაშია სულ 28 ნოუთბუქი და 7 პერსონალური კომპიუტერი, რომელთა ნაწილიც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..........

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განთავსებულია სხვადასხვა ოთახში პედაგოგთა და დირექციის სარგებლობისათვის. სკოლას მფლობელობაში აქვს ასევე 2 პრინტერი.<br><br>სკოლას გაფორმებული აქვს ჰოსტინგის და დომენის მომსახურების ხელშეკრულებები.<br><br>სკოლის ვებგვერდია: www.stnino-school.ge, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის, სასწავლო პროცესის, დირექციის, მასწავლებლების, სიახლეების შესახებ. ვებ-გვერდზე ატვირთულია სკოლის შინაგანაწესი და ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტოები. ვებ-გვერდთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია მის განახლებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მასში ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია დირექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით. ვებგვერდზე ასევე არ არის ატვირთული სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულება;<br>2. დომენის ხელშეკრულება;<br>3. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>4. სკოლის ვებ-გვერდი;<br>5. პრინტერების შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ს N 67 15.08.14წ. ბრძანებით.<br>სკოლის შენობის სამივე სართულზე ევაკუაციის გეგმით განსაზღვრულ წერტილებზე განთავსებულია 15 ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრები დატენილია და მათზე განსაზღვრულია ცეცხლმაქრის ექსპლუატაციის ვადა.<br><br>დირექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების მექანიზმებისა და ხანძარსაწინააღმდეგო კომისიის ჯგუფი 4 წევრის შემადგენლობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;<br>2. ცეცხლმაქრების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის სამივე სართულზე შესაბამის ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ევაკუაციის გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ექიმთან. სკოლის შენობის მე-2 სართულზე გამოყოფილია ოთახი ექიმისთვის, სადაც მდებარეობს სამედიცინო ტახტი, კარადა წამლებისათვის, ექიმის მაგიდა სკამით. ექიმმა წარმოადგინა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში ხანძარსაწინაარდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის და სამედიცინო აღმოჩენის მექანიზმები, სადაც გაწერილია გადამდები დაავადებებების დროს სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ხანძარსაწინაარდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო აღმოჩენის მექანიზმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. ექიმთან დადებული ხელშეკრულება; |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია:<br>ა) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე;<br>ბ) თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი<br>გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ჰყავს 1 დაცვის თანამშრომელი და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი რომელთაც ევალებათ სკოლის გარე და შიდა პერიმეტრის მეთვალყურეობა. მათთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი შენობის პირველ სართულზე, სკოლაში შესასვლელ კართან. ოთახში განთავსებულია მონიტორი, რომელზეც შესაძლებელია კამერების ჩანაწერებზე პირდაპირ რეჟიმში დაკვირვება.<br>სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლების მორიგეობა დერეფნებში, რომლის განრიგიც გამოკრულია ყველა სართულზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. მასწავლებლებთან და დაცვის თანამშრომლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების გარე პერიმეტრს, ეზოს და შენობის ირგვლივ ტერიტორიას აკონტროლებს 9 უსაფრთხოების კამერა. მათ შორის 2 – 5 მეგაპიქსელიანი, 4 – 4 მეგაპიქსელიანი და 3 - 2 მეგაპიქსელიანი ვიდეოკამერა.<br><br>შენობის შიდა პრიმეტრის გასაკონტროლებლად პირველ სართულზე დამონტაჟებულია 3, მეორე და მეოთხე სართულებზე 4-4 ვიდეოკამერა. კამერები შეესაბამება ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს და უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოების დაცვას.<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2 მეგაპიქსელიანი 3 გარე კამერა შეცვალოს 3 მეგაპიქსელიანი კამერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. მათ შორის: სკოლის დებულება (დამტკიცებული სკოლის დირექტორის სN67 15.08.14წ. ბრძანებით) და ბიბლიოთეკის დებულება.<br><br>სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო და დასვენების დრო, დარეგულირებულია შრომითი ურთიერთობების პირობები, სკოლაში პედაგოგის მიღების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბოლოო ანგარიშსწორების საკითხები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის წარმოებას. მასში ასახულია შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციებიც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის დებულება;<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. ბიბლიოთეკის დებულება. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ერთწლიანი (2020) განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N108 (27.12.2019) ბრძანებით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლამ წარმადგინა ასევე ახალი ექვსწლიანი 2020-2025 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც დამუშავების პროცესშია. გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის დასახვის დროს გაითვალისწინონ ახალი ფართის საჭიროებები. მაგ. შენობასთან არსებული ეზოს მოწყობა-მოწესრიგება, სპორტული მოედნის აშენება, შენობის ექსტერიერის რემონტი.<br><br>დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მუშაობს ამ საკითხებზე, თუმცა არ აქვთ ასახული გეგმებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ერთწლიანი გეგმა;<br>2. ექვსწლიანი გეგმა;<br>3. დირექტორთან და დირექციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუ. |
| შეფასება: | ■ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესი, რომლის თანახმადაც მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. ამ მიზნით შექმნილია შემდეგი ჟურნალები: მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი; ბძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნი; მოსწავლეთა რეგისტრაციის ანბანური ჟურნალი; გასული დ შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები აკინძული, დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქულია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საქმის წარმოების ერთიანი წესი;<br>2. შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>3. მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი;<br>4. მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი;<br>5. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>6. მოსწავლეთა რეგისტრაციის ანბანური წიგნი;<br>7. გასული დ შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. |
| შეფასება: | ■ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:<br>2.1. გ- დაამატოს ახალი სპორტის სახეობა ჭადრაკის მაგივრად, რამდენადაც ჭადრაკი აღარ შედის სპორტის სახეობებში საბაზო და საშუალო საფეხურზე და ამასთან დაკავშირებით სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს ცვლილებები. ამავე ქვემუხლში სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპორტული მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით;<br>2.3. წიგნის დამუშავების დროს გაითვალისწინოს საბიბლიოთეკო წესი;<br>2.5. რეკომენდაცია გაიცა ვებ-გვერდის მუდმივ განახლებასთან და მის უფრო მეტად ინფორმატიულობასთან დაკავშირებით.<br>2.6. სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2 მეგაპიქსელიანი 3 გარე კამერა შეცვალოს 3 მეგაპიქსელიანი კამერით.<br>2.8. სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია რომ სამოქმედო გეგმის დასახვის დროს გაითვალისწინონ შენობასთან არსებული ეზოს მოწყობა-მოწესრიგება, სპორტული მოედნის აშენება, შენობის ექსტერიერის რემონტი. |
| რჩევები: | სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები გათვალოს სასწავლო წელზე. მაგ 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმა და არა 2020 წლის გეგმა. |
| ხარვეზები: | ........................... |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>■ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

X. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

20.02.2020

გვერდების რაოდენობა: 38

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................



ბ.ა.